# ხელი

ხელი მიეც შენს მეზობელს, შეეწიე, ერთად იმუშავეთ, თუ გინდათ ქვეყანაში რიგიანად იცხოვროთ. ილია

№4, ივნისი, 2016

გამოცემა მომზადებულია
სამოქალაქო განათლების პროგრამის – ,,მომავლის თაობა'' – ფარგლებში

## წიგნისა და საავტორო უფლებების დაცვის დღე გურიაში



წიგნისა და საავტორო უფლებების დაცვის დღე გურიის სამოქალაქო კლუბებმა სხვადასხვა ღონისძიებებით აღნიშნეს. მოაწყვეს ლიტერატურული ნაწარმოებების საჯარო განხილვები, ღია ცის ქვეშ გამართეს წიგნის კითხვის საათი, ,,სამოგზაუროდ გაუშვეს" წიგნები,რომლებიც მოზარდებში პოპულარობით სარგებლობს. გამართეს კონფერენციები, მოწვეულმა სტუმრებმა ისაუბრეს წიგნის მნიშვნელობასა და საავტორო უფლებების დაცვის საკითხებზე. ,,ჩვენი მიზანია მოზარდები დავაბრუნოთ წიგნებთან, დავეხმაროთ იმის გაცნობიერებაში,რომ განვითარება და წარმატება წიგნიერებას მოაქვს"- აღნიშნა ლია მურვანიძემ,სოფელ ოზურგეთის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგმა.

ხელი

## დედამიწის დღე

22 აპრილს, სამოქალაქო განათლების პროგრამის ,,მომავლის თაობა'' ფარგლებში, გურიის რეგიონის საჯარო სკოლებში დაარსებული სამოქალაქო კლუბების წევრების ინიციატივით, ჩატარდა დედამიწის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ღონისძიების ფარგლებში მოსწავლეებმა მოხატეს კედლები და იატაკი თემატური სურათებით, მცენარეებით, ყვავილებით. მოამზადეს კედლის გაზეთი "ჩვენ ყველანი დედამიწის შვილები ვართ". მოაწყვეს შეხვედრები, სადაც ისაუბრეს ამ დღის მნიშვნელობაზე, წაიკითხეს მათ მიერ მომზადებული თემები. ამავე ინიციატივის ფარგლებში მოეწყო გამწვანების აქციები . განხორციელებული აქტივობებით გვინდოდა, მცირედად, მაგრამ მაინც, გამოგვეხატა ჩვენი დამოკიდებულება დედამიწისადმი. ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ ყველანი დედამიწის შვილები ვართ და უნდა მოვუაროთ მას. -მეგი ჭყონია ჯურუყვეთის საჯარო სკოლის მოსწავლე.



ხელი

## მცირე გრანტი „წიგნიერების დონის ამაღლება მოსწავლეებში"

პროგრამის ,,მომავლის თაობა" ფარგლებში ყოველწლიურად ცხადდება მცირე საგრანტო კონკურსი პარტნიორი სკოლებისთვის. კონკურსის ფარგლებში გამარჯვებულ საპროექტო განაცხადზე გაიცემა 450 ა.შ.შ. დოლარი. 2015 წლის დეკემბერში გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ საჭამიასერის სამოქალაქო კლუბმა მოიპოვა. სამოქალაქო კლუბის მიერ წარმოდგენილი პროექტის მიზანი მოსწავლეებში წიგნის კითხვის უნარჩვევების განვითარების ხელშეწყობა იყო. სამოქალაქო კლუბის წევრებმა ჩაატარეს გამოკითხვა სკოლასა და თემში იმის დასადგენად, თუ რა სიხშირით და რომელი ჟანრის ლიტერატურას კითხულობს საზოგადოება. მოეწყო შეხვედრა მოწვეულ სტუმრებთან, რომლის თემაც იყო წიგნი და ახალგაზრდები. კლუბის წევრებმა თემში აწარმოეს კამპანია, რომლის ფარგლებშიც ადგილობრივმა მოსახლეობამ სკოლის ბიბლიოთეკას გადასცეს წიგნები. ამავე პროექტის ფარგლებში, სკოლაში ჩამოყალიბდა ფოტომოყვარულთა წრე, რომლის წევრმა მოსწავლეებმაც შეისწავლეს ფოტოების გადაღების ტექნიკა, გადაიღეს ფოტოების სკოლასა და თემში. ამ გზით ასახეს მათ ირგვლივ არსებული პრობლემები.

გამოვლენილი პრობლემები კლუბის წევრებმა გააცნეს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს. თვითმმართველობის წარმომადგენელმა, ქალბატონმა ელიზა ზაქარეიშვილმა დეტალურად განიხილა მოსწავლეების მიერ წარდგენილი



პრობლემები და აღნიშნა, რომ ეამაყება ახალგაზრდების ასეთი საქმიანობა. მისთვის საინტერესოა მათი ინიციატივები და სამომავლოდ გეგმავს ახალგაზრდებთან თანამშრომლობას, მათ მიერ გამოვლენილი პრობლემების მხარდაჭერას.

მცირე გრანტი ,,წიგნიერების დონის ამაღლება მოსწავლეებში" განხორციელდა 2016 წლის იანვარი-მარტის თვეებში.

ხელი

## თანასოფლელის დასახმარებლად თემი გაერთიანდა



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯურუყვეთის №1 საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბ ,,ბალავარის“ წევრების ინიციატივის შედეგად, ჯანმრთელობის პრობლემების მქონე თანასოფლელისთვის, სამედიცინო პროცედურების თანხა შეგროვდა.

თანხის მობილიზების მიზნით, კლუბის წევრმა მოსწავლეებმა, კლუბის მეურვე პედაგოგის, ვიოლეტა კვაჭაძის ხელმძღვანელობით, ითანამშრომლეს ადგილობრივ საჯარო თუ კერძო დაწესებულებებთან, მოსახლეობასთან და ახლომდებარე სკოლებთან. სოფლის კულტურის სახლის მხარდაჭერით მოამზადეს საკონცერტო ნომრები, კონცერტში ჩართეს შემოქმედებითი ნიჭის მქონე ადამიანები, დაბეჭდეს და მოსახლეობაში გაავრცელეს ბილეთები. მოამზადეს ხელნაკეთი ნივთები გამოფენა-გაყიდვისთვის. მშობლების დახმარებით საკონცერტოდ მოაწყვეს სოფლის დარბაზი. ინფორმაცია მიაწოდეს სკოლებს მეზობელი სოფლებიდან, რათა მათაც შეეტანათ წვლილი საქველმოქმედო საქმიანობაში.

6 აპრილს, სოფლის კლუბში, ჩატარდა საქველმოქმედო აქცია-კონცერტი, რომელსაც გაუძღვნენ სამოქალაქო კლუბის წევრი მოსწავლეები. ღონისძიებაზე მოხდა ხელნაკეთი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. დაიდგა შემოწირულობის ყუთი. მოეწყო რამდენიმე სკოლის მიერ შემოწირული ნახატების აუქციონი. ასევე, ამოქმედდა საბანკო ანგარიში. ყველა ამ ღონისძიების შედეგად, 1029 ლარი შეგროვდა.

კონცერტის დასასრულს, მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართა კლუბის მეურვე პედაგოგმა, ვიოლეტა კვაჭაძემ და აღნიშნა, რომ საქველმოქმედო აქცია-კონცერტის ორგანიზებისა და ჩატარების პროცესში, მან ახალი მხრიდან აღმოაჩინა როგორც საკუთარი თავი, ისე მისი მოსწავლეები და ამაში მას სამოქალაქო განათლების პროგრამა დაეხმარა.

ასევე, თავისი განცდები გაუზიარა დამსწრე საზოგადოებას კლუბის ერთ-ერთმა წევრმა, მარიამ ჯვართავამ: ,,დიდი პასუხისმგებლობა იყო, ძალიან ვინერვიულეთ. არ მეგონა, თუ ჩვენი ინიციატივის შედეგად ამხელა თანხა შეგროვდებოდა და ყველა კმაყოფილი დარჩებოდა. ახლა მგონია, რომ ქვეყანა შევძარი და გადავატრიალე“.

საქველმოქმედო აქცია-კონცერტს დაესწრო სამასამდე ადამიანი როგორც ადგილობრივი, ისე ახლომდებარე სოფლებიდან, ასევე მუნიციპალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. ხელი

## მოსწავლეები უკანონო თევზჭერის წინააღმდეგ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ საჭამიასერის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრებმა, კლუბის მეურვე პედაგოგის, მზია ქორიძის დახმარებით, ადვოკატირების კამპანია აწარმოეს თემში უკანონო თევზჭერასთან დაკავშირებით.



სამოქალაქო კლუბის წევრებმა სოფლისთვის აქტუალური რამდენიმე პრობლემა გამოავლინეს, თუმცა გადაწყვიტეს, უკანონო თევზჭერის პრობლემაზე ემუშავათ. რადგანაც მდინარეში, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობისთვის სარეწაო მნიშვნელობისაა, საკმაოდ გახშირდა დინამიტით და დენის აპარატით თევზის მოპოვება. მოსწავლეებმა გადაიღეს მდინარის ხეობა. მოიძიეს ინფორმაცია უკანონო თევზჭერის ფაქტებზე. გაეცნენ იმ რეგულაციებს, რაც ამ კუთხით საქართველოში მოქმედებს. ინფორმაციის თავმოყრის შედეგად, პრობლემის მოგვარების ერთ-ერთ გზად სოფელში გამაფრთხილებელი ნიშნების დადგმა მიიჩნიეს. დახმარებისთვის სკოლის ადმინისტრაციას და გამგებლის წარმომადგენლობას მიმართეს საჭამიასერის ტერიტორიულ ერთეულში. მოსწავლეთა ინიციატივა მხარდაჭერილი იქნა და 8 აპრილს გამაფრთხილებელი ბანერები დაიდგა წინასწარ შერჩეულ, მდინარესთან მისასვლელ სამ ადგილზე სოფელში.

ბანერის დიზაინი და შინაარსი მოსწავლეებმა თავად მოიფიქრეს და მოხატეს. სკოლის ადმინისტრაცია ბანერისთვის საჭირო რკინის ბოძებით დაეხმარა კლუბს. გამგებლის წარმომადგენლობამ საჭამიასერის ტერიტორიულ ერთეულში ცემენტი, სილა და ლითონის ფირფიტები გამოყო. ადგილობრივი თემის წარმომადგენელი კი მოხალისეობრივად დაეხმარა ახალგაზრდებს ბანერების დამონტაჟების პროცესში. ხელი

## ეფექტური თანამშრომლობა კლუბის სამომავლო მდგრადობისთვის

გურიანთის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბმა ,,თავისუფალი არჩევანი“ სკოლის ადმინისტრაციასთან, ადგილობრივ თვითმმართველობასთან და თემთან თანამშრომლობით სკოლის ეზოში ფეიჰოას ბაღი გააშენა.

ფეიჰოას ბაღის გაშენება მოსწავლეებმა სამოქალაქო კლუბის მდგრადობის შენარჩუნების მიზნით გადაწყვიტეს.

ანი ქავჟარაძე, სამოქალაქო კლუბის წევრი: ,,როცა პროგრამა ,,მომავლის თაობა“ დასრულდება, ჩვენ პროგრამისგან აღარ გვექნება ისეთი დამხმარე რესურსები, როგორიცაა საკანცელარიო მასალა, ტრანსპორტირების ხარჯები სასწავლო დაწესებულებებში ვიზიტისა თუ საინტერესო სტუმრების მოწვევისთვის. ამიტომაც, გადავწყვიტეთ, კლუბის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების მიზნით მოგვეფიქრებინა ისეთი რამ, რითიც შევძლებდით არსებობის გაგრძელებას პროგრამის დასრულების შემდეგაც. კლუბის სამუშაო შეხვედრაზე ვიმსჯელეთ და კარგ საშუალებად მივიჩნიეთ შემოსავლიანი კულტურის გაშენება სკოლის ტერიტორიაზე“.

იმის გამოსავლენად, თუ კონკრეტულად რომელი შემოსავლიანი კულტურა გაეშენებინათ, მოსწავლეებმა კონსულტაციებისთვის მიმართეს პედაგოგებს, რომლებმაც ადგილობრივი გარემო პირობებისა და მოვლა-გახარების სიმარტივის გათვალისწინებით, ახალგაზრდებს ურჩიეს ფეიჰოას ბაღის გაშენება. ერთი ძირი ფეიჰოა 40-50 კილოგრამს ისხამს, ხოლო ნაყოფს დარგვიდან მესამე წელს იძლევა, შესაბამისად კლუბის მდგრადობისთვის კარგი რესურსია.

საჭირო იყო ფეიჰოას ნერგების მოპოვება, რომელიც საკმაოდ ძვირადღირებულია (ფასი: 15 ლარი). მხარდაჭერისთვის კლუბის წევრებმა მიმართეს გურიანთის ტერიტორიული ორგანოს გამგებლის წარმომადგენელს კონსტანტინე ჩიკაშუას, რომელმაც მოსწავლეებს უშუამდგომლა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის მთავარ სპეციალისტთან აკაკი ღლონტთან. მას თავად აქვს ფეიჰოას პლანტაცია და სანერგე. ბატონი აკაკი მიესალმა მოსწავლეების ასეთ ინიციატივას, სიამოვნებით ითანამშრომლა მათთან და გადასცა 12 ძირი ფეიჰოა სამოქალაქო კლუბს. მოსწავლეებთან საუბარში მან დაადასტურა, რომ ფეიჰოას გახარება და მოვლა-პატრონობა მართლაც შესაძლებელია სკოლისა და მოსწავლეების რესურსებით.



ნერგების მოპოვების პარალელურად კლუბმა ითანამშრომლა სკოლის დირექციასთან და ადგილობრივ თემთან. სკოლის დირექციამ სკოლის ეზოს ერთ ნაწილში გამოყო დაცული, შემოსაზღვრული ტერიტორია ნერგებისთვის. ხოლო, ადგილობრივი თემის წარმომადგენლები მოხალისეობრივად ჩაერთნენ ნერგების დარგვის პროცესში და ახალგაზრდები უზრუნველყვეს სამუშაო იარაღებით.

სამოქალაქო კლუბის წევრები გეგმავენ კონკურსის გამოცხადებას სკოლის ეზოს დიზაინზე მისი კეთილმოწყობისა და გალამაზების მიზნით. ხელი

# კონჭკათი პოლიეთილენის გარეშე

კონჭკათის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის ,,მომავლის ხედვა“ ინიციატივით 2015 წლის 27 ნოემბერს დასუფთავების აქცია მოეწყო თემში. აღნიშნული აქცია წარმოადგენს სკოლის მიერ მოწყობილი ინიციატივის შემადგენელ ნაწილს. ინიციატივა სოფლის ტერიტორიაზე პოლიეთილენის შეგროვებას გულისხმობს შემდგომ შესაბამის პუნქტში ჩაბარების და გადამუშვების მიზნით. ინიციატივაში კონჭკათის საჯარო სკოლის ყველა კლასია ჩართული. მოსწავლეების ინიციატივას მხარს უჭერს ადგილობრივი თვითმმართველობა — ისინი მზად არიან უზრუნველყონ შეგროვებული პოლიეთილენის ტრანსპორტირება ჩაბარების პუნქტამდე.

როგორც სამოქალაქო განათლების პედაგოგმა ნანი ღლონტმა აღნიშნა, ინიციატივის მიზანია მოსახლეობაში პოლიეთილენის შეგროვების უნარ-ჩვევის გამომუშავება. მოსწავლეებმა თემში აწარმოეს საინფორმაციო კამპანია და მთელს სოფელში, სხვადასხვა უბნებში გამოაკრეს საინფორმაციო ფურცლები, რომელშიც აღნიშნული იყო, თუ რა ზიანს აყენებს პოლიეთილენი გარემოს.



ასევე, საინფორმაციო ფურცლები მოუწოდებს მოსახლეობას, შეაგროვონ პოლიეთილენი და ამ გზით თავადაც ჩაერთონ აქციაში. როგორც ქალატონმა ნანიმ აღნიშნა, ამავე ინიციატივის ფარგლებში გამოცხადებულია კონკურსი კლასებს შორის და ის კლასი, რომელიც ყველაზე მეტ პოლიეთილენს შეაგროვებს, წახალისდება სკოლის ადმინისტრაციის მიერ.

ოთო ქუტიძე, სასკოლო სამოქალაქო კლუბის წევრი მოსწავლე — ,,ჩვენი ინიციატივის მიზანია, გათავისუფლდეს სოფელი მავნე ნარჩენებისგან და შევქმნათ სუფთა გარემო ჩვენს ირგვლივ“.

ინიციატივა სექტემბრის თვეში დაიწყო და დღემდე გრძელდება. ინიციატივაში ჩართულია კონჭკათის საჯარო სკოლის მოსწავლეები, სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგები, ადგილობრივი თვითმმართველობა და მოსახლეობა. ხელი

# ურეკის მოსწავლეების წარმატებული ინიციატივა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის საჯარო სკოლაში სამოქალაქო კლუბი ,,Black Sea',' სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ ფარგლებში, 2014 წელს დაარსდა. დაარსების დღიდან სამოქალაქო კლუბი, მისი მეურვე პედაგოგის ცისანა ჭეფხოძის დახმარებით აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ თვითმმართველობასთან. მათი მონაწილეობით, კლუბის წევრებმა თემში არსებული პრობლემების მოგვარების მიზნით არაერთი საინტერესო ინიციატივა განახორციელეს.

აქტიური მუშაობისთვის ურეკის საჯაო სკოლის სამოქალაქო კლუბმა პროგრამის „მომავლის თაობა“ ფარგლებში გამოცხადებულ 2015 წლის საკლუბო ტექნიკის კონკურსში დამსახურებულად გაიმარჯვა .

ახალი სასწავლო წლის დასაწყისში სამოქალაქო კლუბის



წევრებმა გადაწყვიტეს დაბა ურეკის საჯარო სკოლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შემავალი ლესის მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღსაზრდელებისათვის კულტურულ-საგანმანათლებლო და ამავდროულად გასართობი ექსკურსიის მოწყობა აჭარის რეგიონში.

ურეკის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრების ინიციატივას მხარი დაუჭირეს ,,ქართუ ჯგუფის'', დასასვენებელი სახლის ,,პრემიუმის'', სანატორიუმ ,,კოლხიდას'' და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა.

,,ბავშვების ექსკურსიაზე წაყვანის სურვილი დიდი იყო, თუმცა მისი განხორციელება საკმაო თანხებს საჭიროებდა. მე და ჩემმა კლუბის წევრებმა დახმარებისთვის მივმართეთ ჩვენს დიდ ქომაგს, დაბა ურეკის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულს ბატონ დავით რობაქიძეს და ასევე ადგილობრივი ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს, რომლებმაც დახმარება გაგვიწიეს და ჩვენი ინიციატივა განხორციელდა, რისთვისაც უზომოდ მადლიერები ვართ'' - აღნიშნა ცისანა ჭეფხოძემ, ურეკის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის მეურვე პედაგოგმა.

მოსწავლეებმა მოინახულეს ,,ციხე პეტრა'', ,,გონიოს ციხე'', მწვანე კონცხის ბოტანიკური ბაღი, სხვადასხვა ეკლესია მონასტრები, დაესწრნენ დელფინარიუმში წარმოდგენას და დაათვალიერეს ზოოპარკი, ხოლო



McDonald's-ის რესტორანში საუზმის დროს, ანიმატორებმა გაართეს პატარები.

,,არასდროს ვყოფილვარ დელფინარიუმში, ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ბევრი რამ ვნახე, კიდევ ვისურვებდი ასეთ ექსკურსიებს'' - სთქვა გიორგი კვაჭაძემ, ურეკის საჯარო სკოლის მოსწავლემ.

ღონისძიებაში მონაწილეობდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 4 მოსწავლე, მცირე საოჯახო ტიპის სახლის 7 აღსაზრდელი, 5 პედაგოგი, სამოქალაქო კლუბის 4 წევრი, დაბა ურეკის საჯარო სკოლის დირექტორი, სულ 21 ადამიანი. ხელი

# ვიზიტი ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრში

სამოქალაქო განათლების პროგრამის ,,მომავლის თაობა'' ფარგლებში დაარსებული სამოქალაქო კლუბების წევრები ვიზიტით იმყოფებოდნენ ა.ა.ი.პ. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრში. მათი ძირითადი საქმიანობა სპორტის განვითარების ხელშეწყობა, პერსპექტიული სპორტსმენების წარმოჩენა, სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება და ხელშეწყობაა. საერთო ჯამში კი ეს ყველაფერი ემსახურება ერთ ძირითად მიზანს , -ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის დირექტორთან, ბატონ გოჩა კვანტალიანთან საუბრისას გაჩნდა იდეა სხვადსხვა სამოქალაქო კლუბებს შორის ფეხბურთის ტურნირის ჩატარებისა. ტურნირის საორგანიზაციო საკითხებს, მათ შორის



გამარჯვებულებისთვის თასების გადაცემას, აღნიშნული დაწესებულება უზრუნველყოფს. ხელი

## სიკეთის გაკვეთილი ღია ცის ქვეშ



სამოქალაქო განათლების პროგრამის ,,მომავლის თაობა'' ფარგლებში დაარსებული სამოქალაქო კლუბის წევრი მოსწავლეების მონაწილეობით 2015 წლის 24 სექტემბერს სიკეთის გაკვეთილი ჩაატარა ტრენერმა თამარ ლურსმანაშვილმა. ტრენინგის მონაწილეებმა განიხილეს განსაკუთრებული საჭიროების მქონე ადამიანების ცხოვრების სხვადასხვა მხარეები, მათი განსხვავებული შესაძლებლობები. ისაუბრეს სირთულეებზე, რომლებსაც ისინი აწყდებიან ყოველდღიურ ცხოვრებაში. გაეცნენ დამხმარე საშუალებებს. გაიმართა დისკუსია. ტრენინგის მსვლელობისას გაჩნდა იდეა, რომელიც გულისხმობს აღნიშნული თემატიკის შემცველი კედლის გაზეთის კონკურსის ჩატარებას გურიის რეგიონის მასშტაბით.

,,განსაკუთრებული საჭიროების მქონეთა შესახებ საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები ჯერ კიდევ მყარადაა ფეხმოკიდებული. მსგავსი შეხვედრები არის საჭირო საზოგადოებაში არსებული შეხედულებების შესაცვლელად. აღნიშნულმა ტრენინგმა სრულიად შეცვალა ჩვენი წარმოდგენები ამ მიმართულებით. ამისთვის მადლობას ვუხდით ჩვენს ტრენერს თამარ ლურსმანაშვილს, რომელმაც ალბათ ყველაზე კარგად იცის, თუ რა სირთულეების გადალახვა უწევთ მსგავსი საჭიროებების მქონე ადამიანებს'' — აღნიშნა სოფო მუჯირმა, მაკვანეთის სამოქალაქო კლუბის წევრმა.

ტრენინგში მონაწილეობა მიიღო ოცმა მოსწავლემ მაკვანეთის, ურეკის კოხნარის, საჭამიასერის, ჯურუყვეთის, გურიანთის, სოფელ ოზურგეთის და ქვედა ბახვის სამოქალაქო კლუბებიდან. ხელი

## ავარიული შენობა მოსწავლეებს საფრთხეს აღარ შეუქმნის

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ბახვის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის ინიციატივის შედეგად, სოფელში არსებული ავარიული შენობის დემონტაჟი მიმდინარეობს.

ნაგებობა, რომლის დემონტაჟიც კლუბის წევრმა მოსწავლეებმა, სამოქალაქო განათლების პედაგოგ, დოდო ანტონიანის მეურვეობით მოითხოვეს, ყოფილი კოლმეურნეობის შენობას წარმოადგენს და წლების განმავლობაში ავარიულ მდგომარეობაშია. წლევანდელი დიდთოვლობისას, შენობის ნაწილი ჩამოინგრა და მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. შენობა სკოლის გვერდით მდებარეობს და როგორც კლუბის წევრები აღნიშნავენ, იქ გაკვეთილების შემდეგ, ხშირად თავს იყრიან მოსწავლეები, რაც მათთვის უაღრესად სახიფათოა.

მიზნის მისაღწევად, კლუბის წევრებმა შეისწავლეს პრობლემა, გადაიღეს ფოტოები, მოამზადეს წერილობით განცხადება და მიმართეს გამგებლის წარმომადგენელს სოფელ ბახვში. გამგებლის წარმომადგენელმა მიმართა ზემდგომ ორგანოებს, სოფლის დეპუტატს. განცხადება განსახილველად გაიტანა მუნიციპალური საკრებულოსა და დეპუტატის საანგარიშო სხდომაზე, რომელსაც კლუბის წევრებიც დაესწრნენ.

12 აპრილს, ამ საკითხთან დაკავშირებით, ადგილობრივი თვითმმართველობისა და დეპუტატის თანდასწრებით, ჩატარდა სოფლის კრება, რომელზედაც მიიწვიეს კლუბის წევრები პედაგოგთან ერთად. აღნიშნულ შეკრებაზე მიიღეს შენობის დემონტაჟის გადაწყვეტილება. კრებაზევე გადაწყდა, რომ დემონტაჟს განახორციელებს სოფლის მოსახლეობა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.

გადაწყვეტილების მიღებიდან მალევე დაიწყო სამუშაოები, რომელიც ამ ეტაპზეც მიმდინარეობს. შენობის დემონტაჟის შედეგად მიღებული სამშენებლო მასალა და სახურავი გადაეცემა, სოფელში მშენებარე, წმინდა მარინეს სახელობის ეკლესიას. ხელი

## რიჩარდ ჯორჯიანი გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრში

20 მაისს გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრს სტუმრად ეწვია ამერიკელი მწერალი რიჩარდ ალექსის ჯორჯიანი. იგი არის შთამომავალი გურიიდან ამერიკაში წასული მოჯირითეებისა, რომლების მონაწილეობას იღებდნენ იმ პერიოდისთვის სახელგანთქმულ სხვადასხვა საცირკო წარმოდგენებში. რიჩარდმა მოზარდებს გააცნო ამერიკაში ქართველ მოჯირითეთა მოღვაწეობის ისტორია და ასევე ისაუბრა მის მიერ დაწერილი ორი წიგნის შესახებ, რომელთაგან ერთი - "კაზაკები, ინდიელები და ბუფალო ბილი" ამერიკელი პუბლიკისათვის დაიწერა, ხოლო მეორე "ქართველ მოჯირითეთა ქრონიკები" - ქართველი მკითხველისათვის. სტუმრის მიერ წარმოდგენილმა



პრეზენტაციამ მოზარდებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.შეხვედრის დასასრულს ბატონმა რიჩარდმა სამოქალაქო კლუბის წევრებთან სამახსოვრო ფოტო გადაიღო. ხელი

USAID | საქართველო
ამერიკელი ხალხისგან
PH international
ADVANCING SOCIETIES, CONNECTING PEOPLE
Guria Youth Resource Center

საინფორმაციო ფურცელი მოზადებულია გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის მიერ სამოქალაქო განათლების პროგრამის - „მომავლის თაობა'' - ფარგლებში, რომელიც ხორციელდება PH-International-ის მიერ აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. იგი წარმოადგენს პროგრამის საანგარიშო გამოცემას. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაციები არ წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ ინფორმაციას და არ ასახავს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ მთავრობის მოსაზრებებსა და პოზიციებს.

გამოცემის ირგვლივ დამატებითი ინფორმაციის მიღებისა და ასევე
თანამშრომლობის მსურველ მოზარდებსა და პედაგოგებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ:
გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი – ოზურგეთი, რუსთაველის ქ. №4, II სართული
ტელ: 0496 27 41 26 / მობილური: 599 156384 / ელ—ფოსტა: GYRC.INFO@GMAIL.COM